გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 193
2023 წლის 13 ოქტომბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და ”გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე — დავით რაზმაძე

დანართი N1

„გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოგან გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს. ლეილა მამულაშვილი/